008645221

**ექსპერტის დასკვნა № 008645221**

## გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

## ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

**დამნიშნავი:**

ორგანიზაცია: ქართული ფილმის განვითარების ფონდი

თანამდებობა: ფონდის დირექტორი

მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის 164

სახელი და გვარი: იოსებ ბაღათურია

საფუძველი: განცხადება

**შემსრულებელი ექსპერტები:**

ლუკა ჩოფიკაშვილი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 14 წლის სტაჟით.

## ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ ქართული ფილმის განვითარების ფონდის საკუთრებაშია ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. #164-ში მდებარე შენობა ნაგებობები. გთხოვთ, ჩაუტაროთ საინჟინრო ტექნიკური ექსპერტიზა შენობებს #01/3 და #02/2 და გასცეთ პასუხი შემდეგ კითხვებს:

1. როგორია შენობების ტექნიკური მდგომარეობა და მათი მდგრადობის ხარისხი.

2. აღნიშნება თუ არა მითითებულ შენობებს კონსტრუქციული დაზიანებები.

3. დასაშვებია თუ არა შემოწმებული შენობების ექსპლუატაცია.

შემოსვლის თარიღი: 02/12/2021 წ

გასვლის თარიღი: 16/12/2021 წ

## დასკვნა

1. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. #164-ში მდებარე, ა(ა)იპ ქართული ფილმის განვითარების ფონდის საკუთრებაში არსებული შენობების #01/3-ის და #02/2-ის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ხანდაზმულობიდან გამომდინარე მთლიანობაში შენობების კონსტრუქციებს განცდილი აქვთ ძლიერი ასაკობრივი ფიზიკური ცვეთა. ბზართა უმეტესობის მოხაზულობიდან გამომდინარე შენობებს მიღებული აქვთ ჯდენითი დეფორმაციები, რის გამოც დაზიანებულია შენობების მზიდი კედლები, ხოლო შენობა #01/3-ის მე-2 და მე-3 სართულებს შორის არსებული გადახურვის ფილის ცალკეული უბნების ექსპუატაცია არასაიმედო და საფრთხის შემცველია. დასკვნის კვლევით ნაწილში აღწერილი დაზიანებებიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ შესწავლილ შენობებს მიღებული აქვთ III ხარისხის დაზიანებები (საექსპლუატაციო ვარგისიანობის II კატეგორია), რაც დაზიანებების შეფასების მიღებული კლასიფიკაციით ნიშნავს საშუალო დაზიანებებს, მათი მდგომარეობა ფასდება არადამაკმაყოფილებლად და ექვემდებარება კაპიტალურ გამაგრებას დეტალური გამოკვლევის შედეგების საფუძველზე დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით.

2. იხილეთ 1 პასუხი.

3. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. #164-ში მდებარე, ა(ა)იპ ქართული ფილმის განვითარების ფონდის საკუთრებაში არსებული შენობების #01/3-ის და #02/2-ის უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის საჭიროა შენობებს ჩაუტარდეს კაპიტალური გამაგრება-გაძლიერებითი სამუშაოები, დეტალური გამოკვლევის შედეგების საფუძველზე დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით.

ლევან ჩოფიკაშვილი

## გამოკვლევა

ჩვენს მიერ ვიზუალურად შესწავლილი იქნა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. #164-ში მდებარე, ა(ა)იპ ქართული ფილმის განვითარების ფონდის საკუთრებაში არსებული შენობები #01/3 და #02/2 ტექნიკური მდგომარეობის და შემდგომი ექსპლუატაციის შესაძლებლობის დადგენის მიზნით. შენობა #01/3 სამსართულიანია და აქვს სარდაფი, აშენებულია გასული საუკუნის 30-იან წლებში და განლაგებულია სწორ რელიეფზე (ფოტო 1; 2). შენობის კონსტრუქციული სქემა წარმოდგენილია დუღაბზე ნაშენი გრძივი და განივი მზიდი კედლებით, ამოყვანილი წითელი აგურის წყობით (ფოტო 3). საძირკვლები ლენტური ტიპისაა. პირველი სართულის ფასადის მზიდი კედლების სისქე 75 სმ-ია, ხოლო შიდა მზიდი კედლების სისქე შეადგენს 50 სმ. მეორე და მესამე სართულის ფასადის და შიდა მზიდი კედლების სისქე შეადგენს 50 სმ. სართულშუა გადახურვები შესრულებულია ლითონის კოჭებში მოწყობილი ბეტონის ფილები (ფოტო 4). სარდაფის სიმაღლე შეადგენს 3.25 მ, პირველი სართულის სიმაღლე იატაკიდან ჭერის კონსტრუქციამდე 4.25 მ-ია, მეორე სართულის სიმაღლე შეადგენს 4.0 მ, ხოლო მესამე სართულის სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე 3.50 მ-ია. შენობაში მოწყობილია ერთი კიბის უჯრედი (ფოტო 5). კიბის კონსტრუქციას წარმოადგენს ლითონის კოჭებზე მოწყობილი ბეტონის ანაკრები საფეხურები (ფოტო 6). სახურავის ბურულს წარმოადგენს ხის კოჭებზე მოწყობილი თუნუქის ფენილი. შენობა #01/3-ს ტორსული მხრიდან ებჯინება შენობა #02/2, რომელიც ორსართულიანია და აქვს სარდაფი, აშენებულია გასული საუკუნის 30-იან წლებში და განლაგებულია სწორ რელიეფზე (ფოტო 7; 8). შენობა #02/2-ის კონსტრუქციული სქემაც წარმოდგენილია დუღაბზე ნაშენი გრძივი და განივი მზიდი კედლებით, ამოყვანილი წითელი აგურის წყობით. საძირკვლები ლენტური ტიპისაა. პირველი სართულის ფასადის მზიდი კედლების სისქე 75 სმ-ია, ხოლო შიდა მზიდი კედლების სისქე შეადგენს 50 სმ, ხოლო მეორე სართულზე კედლების სისქე შეადგენს 50 სმ. სარდაფის და სართულშუა გადახურვები შესრულებულია ლითონის კოჭებში მოწყობილი ბეტონის ფილები (ფოტო 9). სარდაფის სიმაღლე შეადგენს 3.25 მ, პირველი სართულის სიმაღლე იატაკიდან ჭერის კონსტრუქციამდე 4.25 მ-ია, ხოლო მეორე სართულის სიმაღლე შეადგენს 3.50 მ. შენობაში მოწყობილია ერთი კიბის უჯრედი. კიბის კონსტრუქციას წარმოადგენს ლითონის კოჭებზე მოწყობილი ბეტონის ანაკრები საფეხურები (ფოტო 10). სახურავის ბურულს წარმოადგენს ხის კოჭებზე მოწყობილი თუნუქის ფენილი (ფოტო 11).

შენობის #01/3 და #02/2 ვიზუალური შესწავლისას დაფიქსირდა შემდეგი სახის ხარვეზები და დაზიანებები: სარდაფის კედლებზე ფიქსირდება დანესტიანების კვალი (ფოტო 12-:-14); შენობა #01/3-ის ტორსულ კედელზე თამარ მეფის გამზ. მხრიდან, გრუნტთან შეხების ზონებში ჩამოცვენილია ნალესი და კედელზე ფიქსირდება დამესტიანების კვალი (ფოტო 15); შენობებზე მოწყობილი ჟოლობები დაზიანებული და ამორტიზირებულია, რის გამოც ატმოსფერული ნალექების დროს ხდება შენობის მზიდი კედლების დასველება (ფოტო 16-:-20); შენობებზე ფიქსირდება მრავლობითი, ჯდენითი დეფორმაციებისათვის დამახასიათებელი ბზარები, როგორც ფასადზე (ფოტო 21-:-29), ასევე შიდა კედლებზეც (ფოტო 30-:-36); შენობა #01/3-ის და შენობა #02/2-ის შეერთების ადგილას კედლებზე და ჭერზე გაჩენილია ღრეჩოები (ფოტო 37-:-39); შენობა #01/3-ში მე-2 და მე-3 სართულებს შორის არსებული გადახურვის ფილის ნაწილი ჩამოშლილია (ფოტო 40; 41); აღნიშნული უბნის მიმდებარედ დაზიანებულია გადახურვის რკ/ბეტონის ფილა, რომელზეც მოშლილია ბეტონის დამცავი შრე და ჩანს გაშიშვლებული არმატურის ღეროები (ფოტო 42; 43), რომელთა მნიშნელოვანი ნაწილი ძლიერ კოროზირებული და დაშლილია, რის გამოც ზემოთაღნიშნული ფილის ექსპლუატაცია არასაიმედოა; რიგ ადგილებში, სართულშუა გადახურვის რკ/ბეტონის ფილებზე მოშლილია ბეტონის დამცავი შრე და ჩანს გაშიშვლებული არმატურის კოროზირებული ღეროები (ფოტო 44; 45); დაზიანებული სახურავიდან შენობაში შემოღწეული ატმოსფერული ნალექების გამო ჭერის კონსტრუქციაზე ფიქსირდება დანესტიანების კვალი (ფოტო 46; 47); შენობების კონსტრუქცია არ შეესაბამება ქვეყანაში მოქმედი სეისმური ნორმების მოთხოვნებს (პნ 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა", მუხლი.15, პუნქტი 7 „ყველა ტიპის აგურის შენობებისათვის აუცილებელ ანტისეისმურ ღონისძიებას წარმოადგენს სახურავის და გადახურვის დონეზე (ან მის ქვეშ) გრძივი და განივი კედლების პერიმეტრზე ანტისეისმური სარტყელის მოწყობა"). ხანდაზმულობიდან გამომდინარე მთლიანობაში შენობების კონსტრუქციებს განცდილი აქვთ ძლიერი ასაკობრივი ფიზიკური ცვეთა. ბზართა უმეტესობის მოხაზულობიდან გამომდინარე შენობებს მიღებული აქვთ ჯდენითი დეფორმაციები. ყველა ზემოთაღნიშნული დაზიანებებიდან გამომდინარე შენობების ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

ამრიგად,

1. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. #164-ში მდებარე, ა(ა)იპ ქართული ფილმის განვითარების ფონდის საკუთრებაში არსებული შენობების #01/3-ის და #02/2-ის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ხანდაზმულობიდან გამომდინარე მთლიანობაში შენობების კონსტრუქციებს განცდილი აქვთ ძლიერი ასაკობრივი ფიზიკური ცვეთა. ბზართა უმეტესობის მოხაზულობიდან გამომდინარე შენობებს მიღებული აქვთ ჯდენითი დეფორმაციები, რის გამოც დაზიანებულია შენობების მზიდი კედლები, ხოლო შენობა #01/3-ის მე-2 და მე-3 სართულებს შორის არსებული გადახურვის ფილის ცალკეული უბნების ექსპუატაცია არასაიმედო და საფრთხის შემცველია. დასკვნის კვლევით ნაწილში აღწერილი დაზიანებებიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ შესწავლილ შენობებს მიღებული აქვთ III ხარისხის დაზიანებები (საექსპლუატაციო ვარგისიანობის II კატეგორია), რაც დაზიანებების შეფასების მიღებული კლასიფიკაციით ნიშნავს საშუალო დაზიანებებს, მათი მდგომარეობა ფასდება არადამაკმაყოფილებლად და ექვემდებარება კაპიტალურ გამაგრებას დეტალური გამოკვლევის შედეგების საფუძველზე დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით.

2. იხილეთ 1 პასუხი.

3. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. #164-ში მდებარე, ა(ა)იპ ქართული ფილმის განვითარების ფონდის საკუთრებაში არსებული შენობების #01/3-ის და #02/2-ის უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის საჭიროა შენობებს ჩაუტარდეს კაპიტალური გამაგრება-გაძლიერებითი სამუშაოები, დეტალური გამოკვლევის შედეგების საფუძველზე დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით.

ლევან ჩოფიკაშვილი

## გამოყენებული მასალები

1. СП-13-102-2003 შენობა ნაგებობების მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევის წესები.

2. ЗБ. 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა" ЗБ. 01.01-09

3. СНиП 2-03. 01-84* ბეტონისა და რკ/ბ კონსტრუქციები.

4. СНиП 2-01. 07-85* დატვირთვები და ზემოქმედება.

5. „ევროპის მაკროსეისმური სკალა 1998". ლუქსემბურგი 1998 წ.

6. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია